# სადიაგნოსტიკო ტესტი მათემატიკაში

მოსწავლე ______________________________ კლასი:__________

**1.** შემოხაზე <u>**ორას შვიდიათას ერთის**</u> ციფრული ჩანაწერი.

ა) 2071 გ) 200701

ბ) 20701 დ) 207001

**2.** მოცემული რიცხვში: **35426** რომელი ციფრი უნდა გადავხაზოთ, რომ დაგვრჩეს უდიდესი შესაძლო რიცხვი?

ა) 6 გ) 2

ბ) 5 დ) 3

**3.** კარგად წაიკითხე ცხრილი. ცხრილი შევსებულია პირველ სტრიქონში მოცემული წესის მიხედვით გარდა ორი უჯრისა.

| X | 45·X |
|---|---|
| 5 | 225 |
| 10 | 450 |
| | 900 |
| | 1800 |

ცხრილის ცარიელ უჯრებში ჩაწერე საჭირო რიცხვები.

**4.** რომელია **308001**–ის სიტყვიერი ჩანაწერი?

ა) სამი ათას რვაას ერთი გ) სამას რვა ათას ერთი

ბ) ოცდაათი ათას რვაას ერთი დ) სამი მილიონ რვა ათას ერთი



LIVEWORKSHEETS

5. დიტო ყოველკვირეულად აკეთებს 30 – შეკითხვიან კლასგარეშე ტესტს. შემდეგ თვითონვე ამოწმებს პასუხებს და შედეგებს იწერს ცხრილში:

| კვირა | სწორი პასუხების რაოდენობა | არასწორი პასუხების რაოდენობა |
|---|---|---|
| **1** | **12** | |
| **2** | **4** | **26** |
| **3** | **10** | **20** |

**რომელი რიცხვი უნდა ეწეროს ცხრილის ცარიელ უჯრაში?**

ა) 16
ბ) 18
გ) 22
დ) 30

**6.** მოცემულია **23586** -ისა და **214** -ის ქვეშმიწერით შეკრების ოთხი ნიმუში. რომელ შემთხვევაშია შეკრება სწორად შესრულებული?

| ა) | ბ) | გ) | დ) |
|---|---|---|---|
| 23586 | 23586 | 23586 | 23586 |
| + | + | + | + |
| 214 | 214 | 214 | 214 |
| ----------- | ----------- | ----------- | ----------- |
| 44986 | 23790 | 23800 | 23700 |



LIVEWORKSHEETS

**7.** ერთ–ერთი კომპიუტერული თამაშის ყოველ მომდევნო ტურში გადასვლისას სალომეს ქულები უორმაგდება:

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სალომეს ქულები | | 850 | 1700 | |

ცხრილის ცარიელ უჯრაში ჩაწერე საჭირო რიცვები.

**8.** სვეტოვან დიაგრამაზე მოცემულია ზაფხულის განმავლობაში საქართველოს მთიან კურორტებზე დასასვენებლად ჩამოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა თვეების მიხედვით. დიაგრამის მიხედვით უპასუხე შემდეგ კითხვას: **რამდენით მეტი ტურისტი ჩამოვიდა საქართველოს მთიანეთში ივნისში, აგვისტოსთან შედარებით?**

ა) 1500-ით

ბ) 3000-ით

გ) 4500-ით

დ) 6000-ით




**9.** მოცემულია კუბი. რომელია AMNB წახნაგის **მოპირდაპირე** წახნაგი ?

ა) BNKC

ბ) DPKC

გ) AMPD

დ) MPKN






LIVEWORKSHEETS

10. სკოლის ეზოს მართკუთხედის ფორმა აქვს. ეზო დაყოფილია ოთხ ტოლ ნაწილად – როგორც ეს ამ ნახაზზე ჩანს:




სკოლის ეზოს რა ნაწილი უკავია სპორტულ მოედნებს ერთად?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში ☐

**11.** რა რიცხვი უნდა ჩაიწეროს ცარიელი უჯრაში, რომ ეს ტოლობა სწორი იყოს?

$$32 + 11\,0 + 40 = \square + 32$$

ა) 72 გ) 142
ბ) 110 დ) 150

**12.** მამას 5 ასლარიანი, 7 ათლარიანი და 3 ერთლარიანი აქვს.

რომელი გამოსახულებით გამოითვლი – **რა თანხა აქვს სულ მამას?**

ა) 5+7+3 გ) 57+3
ბ) 5•100+7•10 დ) 5•100+7•10+3



LIVEWORKSHEETS

**13.** სვეტოვან დიაგრამაზე მოცემულია მაღაზიაში გაყიდული პროდუქტების რაოდენობები კილოგრამებში.




რამდენი კილოგრამი ბოსტნეული გაუყიდიათ?

ა) 18

ბ) 20

გ) 23

დ) 25

**14.** რამდენი წიბო აქვს ოთხკუთხა პირამიდას



ა) 4

ბ) 5

გ) 8

დ) 9



LIVEWORKSHEETS

**15.** 26-მა ბავშვმა გადაწყვიტა ნავით გასეირნება. ცნობილია, რომ თითო ნავი 4- ადგილიანია. სულ ცოტა რამდენი ნავი დასჭირდებათ ბავშვებს იმისათვის, რომ ყველა ბავშვმა ერთდროულად ისეირნოს ნავით?
ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასიხი:________________________________________

**16.** მოცემულია 2 ტოლი წრე. ერთი წრე დაყოფილია 4 ტოლ ნაწილად, მეორე კი - 8 ტოლ ნაწილად. შეადარე წრეების გაფერადებული ნაწილები ერთმანეთს. რომელ წრეშია გაფერადებული უფრო დიდი ნაწილი? რა ნიშანი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრედში?



ა) <
ბ) >
გ) =
დ) +

**17.** სამკუთხედის საზღვარზე მონიშნულია ოთხი წერტილი. შემდეგთაგან რომელი ორი წერტილი უნდა შევაერთოთ მონაკვეთით, რომ მივიღოთ **ორი ახალი** სამკუთხედი ?




ა) A და B
ბ) B და K
გ) A და K
დ) A და C



LIVEWORKSHEETS

**18.** გადაამრავლე და შემოხაზე სწორი პასუხი

**4 x 116 =**

ა) 4424 გ) 464

ბ) 664 დ) 444

**19.** რიცხვი 52137 წარმოდგენილია სათანრიგო შესაკრებთა ჯამად

$$5 \cdot 10000 + 2 \cdot 1000 + 1 \cdot 100 + 3 \cdot \square + 7$$

რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში?

ა) 0 გ) 10

ბ) 1 დ) 100

20. შეავსე ცარიელი უჯრები :




21. მატარებლის კუპირებულ ვაგონში 9 სამგზავრო კუპეა, თითოეული - 4-ადგილიანი. საერთო ვაგონში 28 ადგილით მეტია, ვიდრე კუპირებულში.

შემდეგთაგან რომელი გამოსახულებით შეიძლება გარკვევა, თუ რამდენი ადგილია საერთო ვაგონში?

ა) $9 \cdot 4 - 28$ გ) $9 \cdot 4$

ბ) $9 \cdot 4 + 28$ დ) $9 \cdot (4 + 28)$



LIVEWORKSHEETS

**22.** რომლებია **მართკუთხედისა** და **წრის** საერთო წერტილები?

ა) A, N, M

ბ) R, T

გ) P, K

დ) A, N, M, R, T




**23.** რომელ ფიგურაშია გაფერადებული მისი **მეოთხედი**?




ა) I

ბ) II

გ) III

დ) IV

**24.** იანგარიშე ქვეშმიწერით:

**12648 : 31 =**



LIVEWORKSHEETS

**25.** დააკვირდი ცხრილს. ცარიელ უჯრაში ჩაწერეთ საჭირო რიცხვი.

| რიცხვი | ერთნიშნა | ორნიშნა | სამნიშნა |
|---|---|---|---|
| უმცირესი | 0 | 10 | 100 |
| უდიდესი | 9 | 99 | 999 |
| სულ რამდენია? | 10 | 90 | |

**26.** მოცემულია კვადრატულ უჯრედებიანი ბადე. ბადეზე დახაზულია ABCD და MNKT ტეხილები, რომელთა ყველა წვერო ბადის კვანძებს ემთხვევა. ABCD ტეხილის სიგრძე 30 სმ. გამოთვალე MNKT ტეხილის სიგრძე.




ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი:________________________________



LIVEWORKSHEETS